

ნაწილი

ISSN 0132-6015

ქართული
საბჭოთაო

№ 23 1985



ნ.გ. გ. გ.

— თქვენ კი მოგზალებულხართ სამთრისათვის, მაგრამ ამ სკოლებს
რას უფრებთ?
— ამათ უფრავთ, კაბივცემულთ!



ამ კარმიდამოს პატრონი საქმოსანია სნობილი,
ქონებისათვის დაგული, მისთვის გულლახვარსობილი!..
აქვს ოცდაოთხი ოთახი და ოთხი ავტომობილი,
ოქრო და ფული — დაფლული, თვალ-მარგალიტი — წყობილი!..

მალე იხილეთ ციხეში, თავმოჭრილ-ამოყოფილი!..

სამგლოვიარო განცხადება

წვრილზურქუაზიულ-კარამისაპუტრული ფსიქოლოგი-
ით, წამლეტურ-გამომალველური, მომხვეტელურ-დამგოვებლური
ინტერესებით, მუშტურ-მუშტრულ-მომხმარებლური მისწრაფებებით
მოწამლულ-მოშხამული მეზჩანი მშობლები, დემაგოგი დები, შარის-
თავი ძმები, ყოყონა დისწულ-ძმისწულები, ჭორიანა დეიდები, მა-
ამებელი მამიდები, ყოვლისშემძლე ბიძები, სუბიექტივისტი სიძე-
ები, ვოლუნტარისტი ცოლისდები, კორუფციონისტი ცოლისძმები-
ობივატელი სიდედრ-სიამარი, ქედმაღალი დეიდაშვილ-მამიდაშვილ-
ბიძაშვილები, ყველაფრისმკადრებელი ნათლიმამები, პატივმოყვარე
ნათესავეები, ახვარი ახლობლები, პროტექციონისტი მეგობრები, თავ-
ხელი ამხანაგები, კუთხურკარჩაკეტილი მეზობლები, პროვინციალ-
ნაცნობები, უვიცი პროტეჟეები, საექვო უცნობები მწუხარებით
იუწყებთან, რომ სხვადასხვა დარღვევის, კანონსაწინააღმდეგო
საქციელისა და უპასუხისმგებლობისათვის სამსახურიდან დამსახუ-
რებულად გათავისუფლდა და პასუხისგებაში მიეცა ხელის მომთბო-
ბაზის ღირებტორი, დაუმსახურებლად დაწინაურებული არაკომპე-
ტენტური, კომპრომეტირებული ამხანაგლი

კომპინატორ სამონსინს ძი
ანტიპოლაშვილი

და უღრმეს თანაგრძნობას უცხადებენ, გვერდით უდგანან, დანხა
რების ხელს უწვდიან, ამხნევენ, აიძულებენ, ანუგეშებენ, აქეზე-
ბენ, აგულიანებენ, მხარს უჭერენ გათავისუფლებულ-დაქერილ კო-
ნატორს და მის ცოლ-შვილს.

კარკოვინა??

საჩხერელი
ივლირიძე

1
ერთ თავ კერძაც არ მიაწვდის
მშიერს!.. სუნთქავს კერძო პავს,
კერძოდ ათოვს, კერძოდ აწვიმს,
ნიჭიც კერძოდ იქირავა!..
თვალი სულ არ მიეღულა
(კერწაასწრებ მძინარს ძილში!)
ჩახვეულა, ჩაქცეულა,
ჩაგუდულა კერძო ფიქრში!


2
ლალობს, ლხენა მოგვეცა
(ვხედავთ, განა მითია?)
მისი ცონა-ცხოვრებაც
კერძო მაგალითია!
ირგებს ნალებს... ნილასაც,
სულ ქაფქაფა ქაფია,
გამოსტაცა ვილაცს
კერძობიო გრაფიაც!
კოშკი ზღვაზეც აზიდა,
მთასაც შემოესია,
გვერეკება ბაზრიდან, —
კერძო ინტერესია!

3
საზოგადოდ? — სულსა ლაფავს,
თავს მოიკლავს ზმორებით,
ურჩევნია ცალკე, ცალფა,
გან-გან... განკერძობით!
იხვეჭს, იკრებს, იცვლის, იცვლის...
კერძო კრძალვის გარეშე,
ზშირად წინ-წინ არც კი იცის,
სად რას მოითარეშებს,
ვინ, ან როგორ შეამზადოს, —
გინდა სკამი მოკვეთე, —
ნუ უხსენებ საზოგადოს,
თუ ხარ მისი მოკეთე!
... სხვა კერძო სანავარდო,
სხვისას ჭამს და ბურღავს რქით!..
საზოგადოდ? — საზოგადოდ...
ყურის მიღმა, გულსიქით!..

4
აუხდება, რასაც ნატრობს,
ჩვენ ტვის ვიჭყლეთ ანალიზით:
რატომ მოსდის კერძო ავტო,
რატომ მიდის კერძო ვიზით?
რატომ ვტოვებთ ღიად საცავს?
როგორ გვალღეტს ჯიბეს ღღისით?
როგორ გვაყრის თვალში ნაცარს,
ნუთუ, შიშიც არავისი?!
გეყო!.. კვანძი აქ იხსნება,
როგორც უნდა გადაკერძო!
ყველაფერი გაისხვლება,
კერძოდ, კერძოდ, კერძოდ!..


5
მისვეტ-მოსვეტა, რაც „ალაფია“
(ბედოვლათობით კვლავ დაუცველი!)
კერძო სი რცხვილი? კერძო ლაფია?
თავკუნდა კაცის კერძო მუცელი?!

ზაზა კანიაშვილი



ქართული საბავშვო

ოთახი. კედლებზე — შალერი „პანორამა“. ავეჯი „როკოკო“, ვენეციური ბროლი, ჩინური ფაიფური, ფაიანსი, საქსონური სერვიზები, ვიდუოტელები, ტელეფონი... აქა-იქ — უგემოვნო ზიზილ-პიპილები. კედელზე — ბაროკოს სტილის ჩარჩოში ჩასმული მაძლარი, თვითკმაყოფილი ცოლ-ქმრის ფოტო.



ოთახში სქელი, თონილო კაცი (ქმარი) დაწრიალებს, სახეზე პრიმიტივის მაძლარი თვითკმაყოფილება ეტყობა, არ იცის, რა ქნას. სავარძელში ჩაეშვა, ვიდუოტელოფონის დისტანციურ ჩამრთველს თითი დააჭირა, ეკრანზე გამოსახულება გამოჩნდა, გამორთო. ადგა, გამოაღო შარის კარი, „კამიუს“ ფირმის „ნაპოლეონის“ ბოთლს საცობი მოაძრო, ბროლის ჭიქაში ჩაასხა და ჭაჭის არაყივით გადაყურა. ისევ ჩაეშვა სავარძელში, მაგიდიდან ყურნალი აიღო, გადაშალა და იქვე უხალისოდ მიაგდო...

ტელეფონის ზარის ხმა. კაცმა ყურადღება არ მიაქცია, ზარის ხმა განმეორდა!.. კაცი ბატონკაცური იერით დასწვდა ყურმილს: — შდაა!.. ვისმენთ!.. მაგრამ წამსვე შეეცვალა სახე, თვალებში ლაჩრული შიში და სასოწარკვეთა ჩაუდგა.

კინოსცენარი „ნანახილიმისათვის“

სახე ჯაბანივით მოედრიცა, თვითკმაყოფილი მაძლარი სიფათის კაცი შეშინებულ თავს დაემსგავსა. — დავიღუპეთ!.. დავიღუპეთ!.. 94-ე მუსლი. კონფისკაცია!.. — ამბოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად. კაცმა ყურმილი დაავლო და თვალები გასაქცევად ააცვცა!.. მივარდა კედელს, სადღაც დილაკს დააჭირა თითი, კედელში ჩადგმული სეიფის კარი ავტომატურად გაიღო. კაც ფულის დასტებს დააცნრა, ზოგი უბეში



ჩაიტენა, ზოგი — ჯიბეში, ზოგიც ხელჩანთაში ჩაყარა!.. კარის ზარის ხმა. კაცი მოეშვა, „უკვე მოვიდნენო“, ჩაიბურტუნა აკანკალებულმა და უღონოდ ჩაიკეცა!.. ზარის ხმა განმეორდა!..

კაცი წამოვარდა, „ცოცხალი თავით არ ჩაგბარდებითო“, იყვირა, ეცა კარადანს, იპოვა თოკი, მოათრია ლუი XVI ეპოქის სტილის სკამი, ავიდა ზედ, ჭერში თოკი ჩამოაბა, გამოსკვნა ყულფი, თავი გაუკარბა (მაგრამ ტყვეის მოკვლასაც ვაჟკაცობა უნდა!), აკანკალდა, თვალებიდან ცრემლები ჩამოსდინდა.. „არა, არ შემიძლია! რაც იყოს, იყოს! მოვიდნენ!“

ამ დროს სახე გაუნათდა, რადგან კარებში, კანონის დამცველების ნაცვლად, საკუთარი ცოლი დაინახა. — მაყვალა, მიშველე! — წაიხურჩულა გულანუყვებულმა. კარებში ნაყიდებით დატვირთული ქალ გაბრაზებული ბურტყუნებს: „სად წავიდა ნეტა?! რატომ კარები არ გამიღო?!“ ქალმა ტვირთი იატაკზე დააწყო, ზემოთ აიხედა, დაინახა ქმარი და იკვირა: „ვაიშე! ამას რას ხედავს ჩემი თვალები?! როგორ შეიძლება ასეთ ძვირფას სკამზე ფენებით შედგომა?!“ სწრაფად მივარდა ქმარს და ფეხქვეშ სკამი გამოვლიჯა!..

თამაზ ქორქოლიანი ილუსტრაციები ზ. შორჩხიძისა




ლექსიკონი

- სინდისი** — ზოგის ადვილად რომ ირეცხება.
- ეკიმი** — ზოგიერთი შუაყაცია ადამიანსა და უფალს შორის.
- აბიტურიენტი** — მოსაწყობად რომ თავს იკლავს და სასწავლებლად — აღარ.
- მოდური კაბა** — ტანს რომ ფარავს და ჯიბეს (ზოგჯერ მკერდსაც) აშიშვლებს.
- სტუდბილეთი** — ზოგიერთისთვის ლექციაზე გასართობად შესვლის საბუთი.

წუნუ ნაჰირიშვილი (ქ. თელავი)

- თავი** — სხეულის მთავარი ნაწილი (უთავოებსაც აქვთ).
- გული** — ზოგ ადამიანში რომ მხოლოდ სისხლის მიმოქცევის ფუნქციას ასრულებს.
- ენა** — ადამიანთა შორის კონტაქტის საშუალება და კონფლიქტის მიზეზი.
- ყური** — სმენის ორგანო. მისი აქტიურობა ენის პასიურობაზეა დამოკიდებული.

ალმანხორ თაგაძე



— მასეთი წამალი არა გვაქვს, თუ გინდათ. გიშოვით!

ნახ. შ. ლელაძისა


ლეონის

მსჯობისა და შეხვედრისათვის

ვენახი ქართველი კაცის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო დღიდან ამ მაღლიან მიწაზე მისი დამკვიდრებისა, ხოლო ღვინო — მისი კვების ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი. მიწის მუშამ იცოდა ვენახისა და ღვინის ყადრი. ამიტომაც ხალხურ სიტყვიერებას მრავალი ანდაზა თუ ფრთიანი აზრი უთქვამს ვენახისა და ღვინის შესახებ. ცხადია პურს პირველი ადგილი ეკავა მუდამ: „ვენახს წისქვილი სჯობია, რაგინდა ძლიერ როსავედეს, აშარი ცოლის პატრონი უნდა იჯდეს და ოსრავედეს“. პური და ღვინო მეგობრობის, პირგაუტეხლობის ერთ-ერთი ნიშანიც ვახლდათ: „ღვინოს და პურს არ ველატებისო!“ პური და ღვინო იყო ოჯახის წელგამართულობის უპირველესი ნიშანი: „არცა ვისი ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმა მყოლია, ძველი პური, ძველი ღვინო წლით-წლობამდინ გამყოლია“.

ზომიერად მოხმარებული ღვინო მტერთაც დაზავებდა: „ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგო“. ვინც პურსა და ღვინოს სხვა ნუგბარ საზრდელს ამჯობინებდა, მას დასცილოდნენ: „გლენებ: კცმა რა გაყიდა? — პური და ღვინო. — რა იყიდა? — ისევ ისაო“. „გაყიდა მარანი, იყიდა ტარანი, გაყიდა მამული, იყიდა სრამული“. ვენახი შეუვალი იყო და პატროსნება-სამართლიანობის საზომი: „თუკი სიმართლე იქნება, ვენახს ღობე რად უნდაო“.

კარგ, თავანკარა ღვინოს დიდი ვასკედო: „კარგი ღვინოს ნაძირალი, კარგი კაცის ნაცოლარი“ (ორივე კარგიაო), ხოლო პურადძვირსა და ქვანარშიას არც ღვინო უვარგოდა: „წუწურაქი კაცის ღვინო კაჭკაჭს დაჩხაველებსო“. ასეთ კაცს



პურ-ღვინით არც შენდობა ეთქმოდა: რომოკვდება წუწვი კაცი, გახვევენ ტილოსაო, ვასთორიან და ჩააგდებენ: „ემანდ ეგდა, შეილოსაო, ვინაც შენ შენდობას გეჭყვის, ღმერთმა შეარტყვისოსაო!“ ასეთი კაცისათვის უთქვამთ: „ჩვენსა მონვალ — ღვინოს ყლურჭავ, თქვენსა მონვალ — თვალებს სუჭავო“.

უბოლოო და უიმედო საქმეზე უთქვამთ: „ღვინო არსად იყო, უშმაკები ტიკებს აღბობდნენო“. ტრაბახა და ბაქია კაცზეა ნათქვამი: „ვარიელი ქვევრი მეტს სმაუ-

რობსო“, „ქვევრს არა ჰკითხავდნენ და-ასკოკიანი ვარო“.

სხვათა ნაოფლარის ავად მომზირალთა ქურდთა და ღვინის შოვნისათვის თავგადაკლულთა საგმობად არის ნათქვამი: „უურძნის ქურდი იანვარში დაიკვევებსო“, „ღვინის ქურდი თსლეუზ დაიჭირებსო“, „ნისიად ნაყიდი ღვინო ორჯერ ათრობსო“, „ღვინის სიყვარულით ღობეს კონინდნენო“.

მაგრამ ქართველ კაცს მუდამ ახსოვდა ის ზიანი, რაც ღვინის ჭარბად და ბოროტად გამოყენებას მოჰქონდა (წამალი საწამლებელიც არის და საწამლავიც): „ღვინოსა ვსვამ შენ წილადო, დავითურები შენ



ჭირადო!“ „ამ ჩემმა ღორმა მუცელმა ცეცხლზე დამისხა წყალიო“, „ღვინო გართმევს გონებასაც და ქონებასაცო“...

ქართველ კაცს არც ის დავიწყებია, რომ არაკაცებმა ღვინო და პურ-მარილი შეიძლება ქრთამად, ანუ, როგორც დიდი საბა ბრძანებს, „საცოდავ ძღვენად“ გამოიყენონ: „ვინც მოხანდა ქვევრიო, იმას ერგო ბევრიო“ (შეადარეთ მთური ვარი-ანტი: „ვინც მოიტანა ერბოო, კაი მამულე ერგოო“), „საჭაპურები და ღვინო სომ თავისას ფქვავსო“.

ამიტომ ღვინო სამწელო (ძველებურად (საჭირო“) მოსავლელია, კაცობის გამო-საცდელია: „კაცი იცნობა გასაჭირში და ღვინოშიო“. უჭკუოთაგან უზომოდ, ჭარბად მიერთმეული ღვინო მტრობის, შუღლისა და აყალმაყალის მიზეზი ხდება: „ღვინოვ, შე ჭაჭანისძევე, უცეცხლოდ ამასდუღდები, ჭკვიანთაი ხარ სასმელი, უჭკოსთან წამაშუღლდები!“

უსაკოთათვის ღვინის სმევა ხომ, ხალხის აზრით, ბოროტებაა და დაუშვებელია: „ბერიკიტი თურესო, ვაჟვაცს ერთი სვდესო, ყმაწვილს სუნი ეცესო და ღმერთს თავ-ვანი სცესო“.


რაც შეეხება არაყს, ქართველი კაცი მას საქეიფოდ და სათრობლად არასოდეს იყენებდა, ამიტომ მასზე არც რამე ანდაზა თუ სატოვანი გამოთქმა დარჩენილა ხალხურ სიბრძნეში. არაყი არც ძველ წერილობით ძეგლებში იხსენიება. კიდევ რა ზიანი მოაქვს „გარდარეულად სუმა: ღვინისასა“, შემდეგ მოგახსენებთ.

სიბირგალი



უსიტყვოდ

ნახ. ი. შეინაშვილისა



უსიტყვოდ

საქართველოს ან შიკოვა!...

ფელეტონი

— იმ შენი „ინჟინერის“ მზეს გაფიცებთ, გვითხარი, როდის მოვა წვიმა? — ეხვეწებოდნენ ყოველდღე მეზობლები სამუშაოს მშარმოებელს. მერე წერილობით ამასვე ეკითხებოდნენ თბილისის სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელები „ინჟინერის“ ტრესტის მმართველს ი. კირკიტაძეს 1981 წლის გვალვიანი ზაფხულის დამდეგს.

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტი „ინჟინერი“ როდის აქეთ იქცა ამინდის ბიუროდ?! ხომ არაფერი გეშობება?! — იწყინეს მშენებლებმა.

— არაფერიც არ გეშობება! — ენერგიულად მიუგეს მენერგეებმა, — თქვენ არ იცავით, იანვარში რომ ხელშეკრულება დაგვიდეთ ხელოვნური დაწვიმების სისტემის აშენებაზე და მთელ გაზაფხულ-ზაფხულში უუუუნა წვიმები გვიწინასწარმეტყველებ?! — ხელოვნური წვიმის პროგნოზირება კი ჩვენს ხელთაა, მაგრამ მაგას ახალი ხელშეკრულება დასჭირდება! — მოისაბაბეს მშენებლებმა.

— ინებეთ ახალი ხელშეკრულება! გნებავთ, ერთს მაგიერ, ორივე ხელს მოგიწერთ! — არ დააყოვნეს სანერგის მუშაკებმა, მაგრამ ახალ ხელშეკრულებას ახალი წყველ-კრულვა მოჰყვა მეზობელთა მხრიდან, რადგან ზაფხული დადგა, ნარგავებს ჭკნობა შეეპარა, ხელოვნური წვიმა კი აგვიანებდა, ისე გავიდა 1981 წლის ზაფხული, რომ ცვარი არ ჩამოვარდნილა.

— ამ საქმეს მხოლოდ გენერალური ხელშეკრულება თუ დასძრავს ადგილიდან, თორემ სხვა არაფერი ეშველება! — დაასკვნეს სპეციალისტებმა და აი, 1982 წლის აპრილში ასეთი ხელშეკრულებაც დაიდო. გენერალური ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ტრესტი „ინჟინერის“ № 7 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს იმავე წლის ზაფხულის დამდეგს უნდა დაემთავრებინა სამუშაოები და გაეწვიმებინა კიდეც.

კვლავ ცრუ გამოდგა მშენებელთა პროგნოზი — ეგ კი არა და, უუუუნა წვიმა არ მოვიდა არც მომდევნო 1982 წლის ზაფხულში. სანერგე ხმებოდა!..

მშენებლებმა ძველი, მარტივი სარწყავი სისტემაც მოშალეს, ახლის აგებასაც აღარ დააყენეს საშველი! რულენებითა და ზრუნვით ნახარებ ათასობით ჭიმიან ნერგს გახმობის საფრთხე დაემუქრა!..

— იმ შენი „ინჟინერის“ მზეს გაფიცებთ, გვითხარი როდის იქნება წვიმა? — კიდეც ერთხელ შეეკითხნენ სანერგის ხელმძღვანელები ტრესტის მმართველს 1983 წლის 10 თებერვალს.

მშენებლებს კვლავ გაუჭირდათ მოსალოდნელი ხელოვნური წვიმის პროგნოზირება, ორასროვან და სამაზროვან პასუხებს იძლეოდნენ.

ასე მიიწურა 1983 წლის გვალვიანი ზაფხული და სანერგის ხელმძღვანელებსაც გადაეწურათ ყოველგვარი იმედი, რომ გახმობისაგან იხსნიდნენ მეურნეობას!..

სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში მხსნელ მესიად გამოცხადა მათ იმავე ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი გ. ჩხაიძე.

1983 წლის დეკემბერი იღვანო. მომდევნო წლის გაზაფხულამდე ბლომად დრო იყო დარჩენილი.

— სისტემა ორ კვირაში მზად იქნება! — განაცხადა სამმართველოს უფროსმა, — გაწვიმება კი თქვენთვის მომინდვია, როცა გინდათ, მაშინ გააწვიმეთ!

— კაციც შენ ყოფილხარ და ხელოვნური წვიმის პროგნოზირებაც შენ გცოდნია! — შესძახეს სანერგის

მუშაკებმა და ისე გაიხარეს, რომ საახალწლო ნაძვისხესთან „უუუუნა წვიმა მოხვდება“ იმდერეს. გიგლიშვილი

ნაადრევი გამოდგა მათი სიხარული: ორის მაგიერ ოთხი კვირა გავიდა, ოთხის მაგიერ — რვა, მერე კი, როცა კვირების სათვალავი აერიათ, ფრიად გაიკვირვეს

სანერგის მუშაკებმა, ეს რა ხდება, საქმე ადგილიდან არ იძვრება, გათხრილი ორმოები ნაკვით ივსება, მილები ჟანგდება, ნარგავები ხმება! — ეს ხომ ძველი ნაცნობ-დეკორაციებია?!

გამწარებულები ადგნენ და თვითონ გააწვიმეს, ოღონდ ქალღმერთებით. იმისთანა კოკისპირული... ბოდიში, კანტორისპირული წვიმა წამოვიდა, რომ სულ გადაათვტყველა ინსტანცია, შიგ სეტყუასავით ერია მკვახე გამოთქმები, შესხენება-შეგონებები...

ქალღმერთის წვიმა იქითკენ იყო გამიზნული, ეგების ჯაჭვური რეაქციის პრინციპით იმოქმედოს და წყლის წვიმა გამოიწვიოსო, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა!

კვლავ უწყლოდ დარჩა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების თბილისის სანერგე. მისი შრომის-მოყვარე კოლექტივი მძლავრი ხელოვნური დაწვიმების სისტემაზე ამყარებდა მომავლის გეგმებს, ეს გეგმები კი საუკეთესო ჭიშის ხეხილისა და ვაზის ნერგების დიდ რაოდენობით გახარებას და მოსახლეობისათვის მიწოდებას ითვალისწინებდა!

გავიდა 1984 წლის ზაფხულიც, შემოდგომაც!.. დრომ ყველა ფურცელი ჩამოახია 1985 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კალენდარს და მისაუსტა შემოდგომა. 1981 წელს დაწყებული მშენებლობის დამთავრებას მართლაც რომ ორი კვირის სამუშაოდა აკლია, ასათვისებელია სულ რაღაც 5.000 მანეთი, სწორედ ეს 5.000 მანეთი ადევს უანგაზ ბოქლომად დამაწვიმებელ სისტემას!..


სანერგე მეურნეობა კი პარტახდება, გახმა ათასობით ძირი ხე, 36 ჰექტარი ხეხილიდან 30 ჰექტარზე უკვე ამო-საძირკვი შეეჭმნა 2054 ძირი ვაშლის, მსხლის, ატმისა და თეთრი ბლის ნერგი. ხმება 0,75 ჰექტარზე გაშენებული ვენახიც!..

ძველი სარწყავი სისტემის ნაწილი, რაც მშენებლებს გალაურჩათ, 2 ჰექტარზე გაშენებულ კაკლის სანერგესაც არ ჰყოფნის!..

ხეები ზეზეურად კვდებიან, კენესიან და დასიცხულები ეკითხებიან შემთხვევიდან შემთხვევამდე აქ მოსულ მშენებლებს, როდის იქნება წვიმა?! პასუხად დუმილია, რადგან ცრუ დაპირებებისა და ხელოვნური წვიმის ფსევდოპროგნოზირების ლიმიტი საბოლოოდ ამოიწურა!..

ამჟერად „ნიანგის“ ფიწალია მოსალოდნელი ამინდის პროგნოზირების ზონდი, მისი მონაცემებით უუუუნა წვიმა კიდეც დააგვიანებს, რადგან რაც უკვე გაკეთებულია მშენებელთა მიერ, გაკეთებულია უხარისხოდ. გადამკეტი ონკანები, მიხრანხის მაგიერ, მიღუღებულა მიღუღე!.. ეს და სხვა ტექნიკური წვრილმანები ნიანგს აფიქრებინებს, რომ ახლო მომავალში უფრო ცრემლის წვიმაც მოსალოდნელი სანერგეში, რადგან მნახველი უცრემლოდ ვერ შეხედავს მომაკლავ ნორჩ ხეხილს!

„ნიანგს“ ხელოვნური წვიმის პროგნოზირებაში ეხმარებოდნენ: ელენე იაკობიძე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ინჟინერი, ელგუჯა მირაზიშვილი, სპეცკორესპონდენტი.



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ამისი ნუ გეშინია, ეგ ჩვენი რევიზორ-კონტროლიორია!

ავჯალაში გზისგან...

ავჯალაში ავი გზისგან ავი ფიქრით ვიბურები,
 რა ხანია შავ ასფალტზე ვერ დარბიან „უიგულეები“!
 გადათხრილი ტრასის ძირში კონცერტი აქვთ ბაყაყებსა,
 ტალახიან „ესტრადაზე“ გადადიან მაღაყებსა!..
 ერთ დროს სანაქებო გზაზე ღორღი ყრია გარდიგარდმო,
 ოღროჩოღრო ორმოებში კბილი უჩანს ასფალტს
 მარტო!..
 აყრილი და გადათხრილი ჯავრს გვიმრავლებს
 ერთიორად,
 ერთი სიტყვით, გამოდგება მარტო ღოთის
 ჩასაწოლად!..
 და ჩვენც, მეკრამიტის გვარად, ტალახსა ვზევლთ
 ყოველ დილით,
 უგზოუკვლოდ დარჩენილებს გზა გვიჭდება ოთუსხირი!..
 სახლში ვზივართ დაბოღმიდნი, კვერცხზე მჭდარი
 კრუხივითა,
 გულსაც ცოლის ხარჯზე ვიფხანთ ბუზღუნით და
 წუხილითა!..
 ავჯალაში ავი გზისგან ავი ფიქრი მიტრიალებს,
 შავ ასფალტზე შავი არხით შავი ტლაპო მიჩხრიალებს!..
 არც არავინ ტემპს უმატებს, არც არავის ეჩქარება,
 ეს ზამთარიც, ეს ოხერი, როგორ ჩუმად გვეპარება!..

ვალერიან მამუკელაშვილი

ვალერიან

სოფელ გურჯაანში არის ერთი ქუჩა (კამოს სახელობისა), რომელსაც ადრე, მამაპაპიდან, „ზემო წითელ უბანს“ ეძახდნენ. ამ ქუჩაზე დადიოდა საჭაპანო ტრანსპორტი.

ასლა საჭაპანო ტრანსპორტი ავტომობილმა შეცვალა, სახედრები — „ტრანგალექტებმა“, ხოლო ქუჩის მახლობლად არსებული საცხოვრებელი შენობის ფასადები და ეზოს სისუფთავე — ავტოტრანსპორტის მიერ გამოდევნილმა ქუჩის მტვერმა!..

1981 წლის მაისში „ზემო წითელი უბნის“ მცხოვრებლებს „მსხნელად“ მოევიდინა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საქსოფლომშენის“ №13 ტრესტის მოძრავი შექანიზებული №22 კოლონა, რომლის მუშაკებმაც მთელი შემართებით დაიწყეს ქუჩის სარემონტო სამუშაოები: მოიტანეს ინერტული მასალა (ხრეში) და გაშალეს ქუჩაში!.. ნახევარზე მეტი ნიაღვარმა ჩაიტანა ქვემო უბანში. შემოხილული რკინა-ბეტონის არხების ნაწილი ჩააწყვეს ქუჩის ნაპირზე ნიაღვარგამტარებლად. დანარჩენის ჩადება „დაავიწყდათ“ და წლების მანძილზე ჩაიხერგა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე. №22 კოლონის ყოფილი უფროსი ნუზარ რაქვიაშვილი შეპირებული იყო, დროულად დაემთავრებინა სამუშაოები, მაგრამ „ვერ მოასწრო!“ დარჩენილი ბეტონის არხების ჩაწყობაში სხვა სამშენებლო ორგანიზაცია მიეხმარა. ქუჩის კეთილმოწყობას ვინ ჩივის, „ზემო წითელ უბნელებს“ უფრო მეტი სადარდებელი აქვთ.

დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინ ამ უბნის თავში იყო სუფთა კარგად მოვლილი სასმელი წყლის რეზერვუარი, საიდანაც მოსახლეობა იღებდა სასმელ წყალს. იგი ყოველთვიურად იწმინდებოდა დანალექებისა და სიბინძურისაგან. დღეს კი რეზერვუარი ვახდა ბაყაყებისა და თავკომბალების სანაწარმო და დასასვენებელი ადგილი!..

დაბინძურებული რეზერვუარიდან გადმოსული წყალი კი გადმოჩუხჩუხებს ონკანიდან მტრის (ზოგჯერ მოყვრის) თვალის დასაბრმავებლად. უბნელებმა იციან „სახმარი წყალი“ (როგორც მას უწოდებენ) არ უნდა დაილიოს, მაგრამ ვინც არ იცის, იმას აუტყდებამუცლის გვრემს!..

სოფელ გურჯაანის ბოლოში მშენებლებმა საფუძველი ჩაუყარეს სასმელი წყლის შექრებ ავზს, ხოლო სოფლის თავში აშენდა დიდი რეზერვუარი, მიწის ზედაპირზე განალაგეს ორი რეზერვუარის შემაერთებული მილსადენები!..

ამბობენ, შეიძლება დრო ვავიდეს და მილსადენებს მიწაში თავიანთი ადგილი მიუჩინონ, სასმელი წყალი გადაქაჩონ დიდ რეზერვუარში და „ზემო წითელმა უბანმაც“, წყალსადენის ქსელში გაყვანის შემდეგ, სასმელი წყალი მიიღოს.

შეიძლება, ეს ჭორი გამართლდეს!..

ჯანო გიორგელაშვილი,
 „ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი თელავის ზონაში.





გახურებული პურის აღება ზოგიერთ კოლმეურნეობაში

1956 წ.



ცნობილ ქართველ მხატვარ-კარიკატურისტ იოსებ ჟორჯიაშვილს დღეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი ქართული საბჭოთა კარიკატურის შექმნისა და შემდგომი განვითარების ერთი ამაგდართავანი იყო. მის შემოქმედებით მიეზღვა და მახვილგონივრულ მიგნებებში ასახვა პპოვა ოცდაათიანი და შემდგომი წლების ქართულმა სინამდვილემ მოვლენებისა თუ ცალკეული პიროვნებების მხატვრულ ტიპიზაციაში იოსებ ჟორჯიაშვილი ოსტატურად ახამებდა შარვისა და გროტესკის სერხებს, გულთბილი იუმორის მსუბუქი შტრიხებით ეხებოდა თანამემამულეთა ნაკლოვან მხარეებს, მის დაცინვაში უფრო თანაგრძნობა გამოსჭვიოდა, რადგან ბუნებით კეთილ კაცს ძალიან უყვარდა ადამიანები, მის გრაფიკულ ჩანახატებში მაშინ მკაცრდებოდა კომიზმის ეფექტი, როცა საქმე ეხებოდა ხალხის მტრებს, სწვადასხვ: ჯურის ანტიოპოტებსა და საერთაშორისო კაპიტალის დაქირავებულ აგენტებს — ომის გამწვანებლებს. ამიტომ იყო, რომ მისი ნამუშევრებში პოლიტიკური სატირის დარგში მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაზე — „სატირა მშვიდობის საშხაურში“ — განსაკუთრებულად აღინიშნა; იოსებ ჟორჯიაშვილი ოპროს ვედიმთ დააჯილდოეს.



— კიდევ კარგი, რთველში მაინც ჩამოდიხართ, თორემ სულ დავკარგავდით ნათესავები ერთმანეთს!

1964 წ.



— ამდენი პატევი სიცოცხლეში რომ ეცათ, იმ უბედურისათვის, რა მოკლავდა?!

1974 წ.

სიზმარი



ფელატონი

ქაქო ახალგაზრდობაში სასადილო „ლეწეს“ სშირი სტუ-მარი იყო. ერთხელ მატარებლიდან ჩამოსულმა გადაკეთებულ შენობას შეავლო თვლი და იქვე მომუშავე კაცს დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი.

— შენ ავაშენა ღმერთმა! — წამოიძახა კაკომ, — ვინც ბაზრის და ავტოსადგურის აშენება რკინიგზის სადგურთან ახლოს მოიფიქრა, ნამდვილად ქების ღირსია! ბაზარში პროდუქტები მოიმატებს, აქ მოსვლით გამოიდევლი და მყიდველი არ გაწვალდება! ანდა ის იყო კარგი, ავტოსადგური ქალაქგარეთ რომ გექონდა?! მატარებლიდან ჩამოსულს იქამდის მისვლა მანეთი უჯდებოდა, მერე კი ოცდაათ კაპიკად ადიოდა სახლში!..

კაკომ, შუსუთში აგებულ ასიათასობით ღირებულ ავტოსადგურს ავტობუსით რომ ჩაუარა, მწარედ გაიღიმა.

— ერთი დიდი საავადმყოფო, ან სკოლა აშენდებოდა, რაც ამის აშენებასა და რემონტზე დაისარჯა!

კაკომ საღამოს დიდი ხნის უნახავ მეზობლებთან ქებით მოიხსენია ახალი წამოწყება. ძილის წინ ისევ ძველ ავტოსადგურზე წამოჭრილი კამათი უტრიალებდა თავში. დილით რომ გაიღვიძა, სიზმარი გაახსენდა. სიზმარი თითქოს უცნაური ეჩვენა: მამათელები, აცანულები და აკეთელები მგზავრთა მოსაცდელბით დაემუხნენ მთიდან, — რად-

გან თქვენ გიჭირთ აშენება, ა, ბატონო, გვიჩუქებია, ისარგებლონ მგზავრებმა, წვიმასა და თოვლში სეების ქვეშ შეყუჟულნი დგანან ჩაის ფაბრიკასთან!

ეს ამბავი ლესა-ქვიანის მგზავრებსაც გაეგონათ. თუ მართლად ამიანობა და საქმე სიმართლეზე მიდგება, პირველ რიგში მატარებლებზე მგზავრთა მოსაცდელბი ჩვენ გვჭირდება, ორს ვინ ჩივის, ერთი აგვიგონ სასტუმროს წინ, მოედანზე, ჯადრებთან!

სუფსისკენ სამსახურში მიმავალმა მგზავრებმა ჯერ საერთო კრება მოიწვიეს. მერე დელეგაცია გაავაზენეს თბილისში. ლენინის ქუჩაზე მრავალსართულიანი შენობა რომ იწყება, იმის ნახაზში ჩვენი მგზავრთა მოსაცდელიც ჩასვით და პატივისცემა ჩვენზე იყოს!

ჩვენც გვინდა მოსაცდელიო! — თქვეს რკინიგზის გადაღმა მხარის წარმოება-დაწესებულების მუშებმა, — რადგან სშირად ვაზეთების ჯისურთან წვიმაში ველოდებით ავტობუსსო!

კაკო დაიტანჯა ამდენი მთხოვნელისგან!.. სულით და გულით მსურს, დავესმაროთ, სასიკეთო საქმეზე როგორ გეტყვით უარს მაგრამ მე სომ პატარა კაცი ვარო?! — აგრძობინა სუყველას.

უცებ სახე გაუნათდა. ჯადოსნური ჯოხი გაახსენდა ზღაპრიდან სათხოვნელად სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ხელში ჯოხის ძალი იგრძნო. დაიქნია ჯოხი და შუსუთში დაკეტილი ავტოსადგური ნაწილ-ნაწილ დაჭრა, გადააქცია მგზავრთა მოსაცდელბად და მთხოვნელებს ჩამოურიგა. ზღაპარს რომ თავის ჯადოსნურ ჯოხს უბრუნებდა, მაშინ მოაგონოდა ქალაქის აბანო, რომლის გაჭიანურებული მშენებლობა როგორც იყო დამთავრდა, მაგრამ ბევრჯერ უწყლობისგან გამოკეტილია!..

დაიქნია კაკომ ჯოხი და აქაც მოახწრო სიკეთის გაკეთება: აბანო ამუშავდა!..

კაკოს არ სჯერა სიზმრისა, მაგრამ ახლა რატომღაც სურს, დაიჯეროს!

ქაქური ქაქულაქე

(ქ. ლანჩხუთი)

ნახ. 3. კუსტინას



უსიტყვოდ

«კამბარეხი»

დედალორმა ერთ ფერმაში ორი გოჭი მოიყვანა. მომვლელ ქალმა გაიხარა, სინარულით ცრემლი ღვარა.

თვის მერგოლურს მოახსენა: „შეგვემატა სამი გოჭი, ვალდებულებას ვანადღებ, მომრავლდება გოჭის სორცი!“

მერგოლური ბრიგადირთან სინარულით მივარდა: „ოთხი გოჭი შეგვემატა, დედალორმა ივარგა!“

ბრიგადირმა თავმჯდომარეს მოახსენა რიგით, წესით: „დედალორმა გაგვასარა, დღეს მოიგო გოჭი ექვსი!“

თავმჯდომარემ სამმართველოს აცნობა და დაუსატა: „სულადობა გაიზარდა დღეს რვა გოჭი შეგვემატა!“

სამმართველომ უპასუხა: „ვაჯილდოვებ ფერმას დროით, სტუმრებს ველით სვალ, სადილად, გამოგზავნეთ ორი გოჭი!“

დანარჩენებს მოუარეთ, გაზარდეთ და გაასუქეთ, ასე კარგად თუ იზრომებთ, ავტომანქანას ვაჩუქებთ!“

მინაწარი:

მიწარეპი ჭირი გასლავთ,

მოუსდელი სახადი!..

რას არ უძლავს ძეღანი და ფარაბინა ქაღალდი!..

როსტოპ ყენია



816
16.XII 85

«ნიანგს» ყვასყვასუნუნ

საქართველოს კომპარტიის აჭარის საილაო კომიტეტი:

„ეურნალ „ნიანგის“ მიმდინარე წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონი — „ხაზზეა ბათუმი“ — ძირითადად სინამდვილეს შეესაბამება. პარტიის ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიკომების ბიუროების დადგენილებით ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღებისა და რეალიზაციის საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდნენ სოფლების — ქობულეთისა და ჩაისუბნის საფუთავი ქარხნების დირექტორები, მკაცრად დაისაჯენ მათი მოადგილეებიც.

რესპუბლიკური გაერთიანება „აჭარ-სოფლამზადების“ ხელმძღვანელობამ ფელეტონში მოყვანილი ფაქტებისა და სხვა ანალოგიური დარღვევებისათვის გაატარა ადმინისტრაციული ღონისძიებანი: 1984 წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღების, გადამუშავების, შეფუთვის, მისი გადატვირთვის, ტარის უზარისხობისა და სხვა გამოვლენილი დარღვევებისათვის სხვადასხვა სასჯელი დაელო სისტემის 33 პასუხისმგებელ მუშაკს. მათ შორის ტარის ხარისხზე სათანადო კონტროლის დაუწყებლობისათვის დაისაჯა გაერთიანების სამი პასუხისმგებელი მუშაკი — ლ. ბერიძე, ნ. დავითაძე და თ. მუჟაანაძე.

ამასთან გაცნობებთ, რომ 1983 წელს დამზადებულ 179788 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფში დაბალი მუყაიანობისა და მშრალი ნივთიერებების ნაკლებობის გამო დანაჯარგმა 856,6 ტონა, ანუ მთლიანი რაოდენობის 0,47 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1984 წელს დამზადებულ 169262 ტონა ციტრუსში აქტიურებული დანაჯარგი იყო 10,2 ტონა, ანუ მთლიანი რაოდენობის 0,006 პროცენტი.

აჭარის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები შემდგომში ჰვლავ განახორციელებენ სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს რესპუბლიკურ გაერთიანება „აჭარსოფლამზადების“ სისტემაში ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად.

თბილისის საბრანსკორტო ვაერ- თიანების ტრამვანისა და ტროლეი- ზუსების სამმართველო ვაბათოვი- ნებს:

„ნიანგის“ ამ წლის მე-7 ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით — „ბარათები ნიანგს“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თბილისში, ჩოდროშვილის ქუჩა და მასზე განლაგებული ტრამვანის ლიანდაგი კარგა ხანია კაბიტალურ შეკეთებას საჭიროებს.

წერილში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ჩოდროშვილის ქუჩაზე ტრამვანის ლიანდაგის გასწვრივ, არსებული წყალმიძღები სისტემები ვერ უზრუნველყოფს წყლის მთლიანად მიღებას დიდი ნიაღვრების დროს. წყალი მიედინება ლიანდაგებზე, ზოგან სილავეს და რეცხავს მას.


აღნიშნული საკითხი დასმული იქნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე, რომელმაც დაავალა „თბილწყალქანლის“ საწარმო სამმართველოს, თბილისის საბრანსკორტო გაერთიანებასა და „თბილქალაქპროექტთან“ ერთად შეისწავლოს ჩოდროშვილის ქუჩაზე არსებული ნიაღვარმიძღების გაფართოების და ახლის მშენებლობის საკითხი.

ვინაიდან აღნიშნულ ქუჩაზე ტრამვანის ლიანდაგები განლაგებულია მანქანების სავალი გზის გვერდით, გზის დაზიანების გამო მანქანები ჰიძრაობენ ტრამვანის ლიანდაგებზე, რომელზედაც შეიქვთ ტალახი და უცხო საგნები, ფერხდება და საფრთხე ექმნება მოძრაობას.

ქუჩის რეკონსტრუქცია გათვალისწინებულია! სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის გეგმით. სამუშაოს დაწყება საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოს აქვს დავალებული მიმდინარე წლის! მეორე ნახევარში.

ლიანდაგების ტექნიკური მდგომარეობა ამჟამად ნორმალურია და უზრუნველყოფს უსაფრთხო მოძრაობას.

ნ.ბ. ზ. ფორჩხინისა



ღამეაშავე ხარ, ქამია!

თუ შეგბოჭა და შეგიპყრო
მომხვეჭელობის მანიამ
და ეჩოსავით მიითლი,
ღამეაშავე ხარ, ქამია!

რომ არ გაება მახეში,
წილად არ ვერგოს ვალია!

სვავიც კი ზომავს ლუკმასა,
რათა არ შეხვდეს წყენანი!..
ნუ დაივიწყებ სინდისსა,
მიიღე ჩემი რჩევანი!

თუკი დაცურდი კიბეზე,
ველარ ვიშველის ვერავინ!
გვიან იქნება წუხილი,
ბოლო ჟამს თითზე კბენანი!

ან შეიცოდე ცოლ-შვილი,
ან — სიძე, და, ან — რძალია,

დოდო ზურაბიშვილი



— არ გადაყარო, თორემ ისევ ჩვენ მოგვყვილიან!

85-816



სატიკოსი და იუმორის
ქურნალი „ნიანგი“ № 23
(1635) ლექსმწერი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბულა ამირეჯობი, ნომადი
ბარათია, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
შაო ლოლუა, ნოდარ მალა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფწივაძე, ნაფი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაცემა ასაწყობად 6. 11.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 6. 12. 85 წ. ქა-
ლალდის ზომა 60X90/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9, სა-
ქართველოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 2596. უე 15702
ტირაჟი 145.000. ქურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაყების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137

7-82

„ლიდი ბიზნესი“ ტრასიცემით ეგებება რეიგანის აღმინისტრაციის მიერ
შექმნილი „ვარსკვლავების ომების“ იდეას, რადგანაც კოსმოსის მილიტარიზა-
ცია სამხედრო მონოპოლიების შემდგომი გამდიდრების ახალი წყაროა.

ზაურბეგიანი

ნახ. პ. მორჩაძისა



„ვარსკვლავთმცხენა“

სატირიკოსი
ნიანგი